სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

22/05/2026

MES 3 26 0000613721

# ბრძანება

## ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 21 მაისის №604959 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის N89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა "ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი" **(დანართი)**.

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

**დანართი**

| პროგრამის კოდი | პროგრამის დასახელება | პროგრამის სახე | ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე | პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში | სწავლების ენა | მსმენელთა ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02597 | ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი | მომზადება | მეოთხე | 5 | ქართული | 40 | ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10 |

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის

2026 წლის 30 აპრილის

ბრძანებით N107

………………………………………………

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

| |
|---|
| პროგრამის სახელწოდება: ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი |
| პროგრამის სახე:<br><br>■ პროფესიული მომზადება<br><br>□ პროფესიული გადამზადება |

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

☐ 2 ☐ 3 ■ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 5

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მსმენელთა აღჭურვა იმ თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტის უსაფრთხოების ეფექტური კონტროლის, რისკების მართვისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისათვის სხვადასხვა სატრანსპორტო სექტორში. პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელებს გააცნოს ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმები და სტანდარტები, რათა მათ შეძლონ მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება. ასევე, მნიშვნელოვანი მიზანია უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის უნარების განვითარება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ავარიებისა და ინციდენტების ალბათობას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი
2. სამუშაო ადგილზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი
3. სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთოდ გაადგილების კონტროლი
4. უბედური შემთვევების სიმძიმის შეფასება
5. აუცილებელი ზომების გატარება უბედური შემთხვევების დროს

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

**მოდული:**

1. ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი
2. ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი

**პროგრამის მოკლე აღწერა:** წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 5 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20 საათი, რაც ჯამში შეადგენს 100 საათს. სასწავლო პროცესში მსმენელები გაეცნობიან მოქმედ რეგულაციებსა და სტანდარტებს, უსაფრთხოების მონიტორინგისა და ინსპექტირების პროცესებს, ასევე ავარიებისა და ინციდენტების პრევენციის პრაქტიკულ მიდგომებს. პროგრამა ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებულ პრაქტიკულ დავალებებს, ქეისების განხილვასა და სიტუაციურ ანალიზს. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ ტრანსპორტის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაცვას, პოტენციური რისკების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხო და ეფექტური სატრანსპორტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

## 2.პროგრამის შინაარსი

| სასწავლო კვირა | თემატიკა | თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები | კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა | სწავლების მეთოდი/ები | შეფასების მეთოდი/ები | სასწავლოგარემო |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | • სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილება;<br>• ტრანსპორტირების საფრთხეები სამუშაო ადგილებზე;<br>• უსაფრთო სამუშაო ადგილისა და ტრანსპორტის ოპერირების საკონტროლო ზომები. | 1 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 2 | • უსაფრთო სამუშაო ადგილისა და ტრანსპორტის ოპერირების საკონტროლო ზომები;<br>• ხალხის გადაადგილება;<br>• სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოვარდნის სპეციფიკური საფრთხეები;<br>• სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოვარდნის სპეციფიკურ საფრთხეების კონტროლის მექანიზმები;<br>• სამუშაო ადგილებზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლის მექანიზმები;<br>• პარკირება. | 1,2 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 3 | • სამუშაო ადგილებზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლის მექანიზმები; | 2,3 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები, რაც იწვევს საგზაო შემთხვევების ზრდას;<br>• გზის უსაფრთხოების მართვა;<br>• ფეხით მოსიარულეთა საფრთხეები;<br>• რისკების შეფასება;<br>• მართვასთან დაკავშირებული რისკების შემცირების კონტროლო ზომები;<br>• სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საფრთხეები;<br>მართვასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ზომების დაგეგმვა. | | | | | |
| 4 | • ხმაურის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;<br>• ხმის გაზომვის მნიშვნელობა და ხმის გაზომვაში ხშირად გამოყენებული ტერმინები;<br>• დასაშვები და დაუშვებელი ხმაურის დონეები;<br>• ხმაურის შეფასება;<br>• ხმაურის კონტროლის ღონისძიებები; | 4 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 5 | • ხმაურის დაცვის საშუალებების მიზანი, გამოყენება და შეზღუდვები;<br>• ჯანდაცვის ზედამხედველობის როლი;<br>• ხმაურის პოტენციური რისკის შემცველი სამუშაოები.<br>• სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების ეფექტი; | 4,5 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების შეფასების საჭიროება;<br>• სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების შეზღუდვა და ღონისძიებები;<br>• ვიბრაციის ძირითადი კონტროლის მექანიზმები;<br>• ჯანმრთელობის მონიტორინგი და ზედამხედველობა. | | | | | |

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ | |
|---|---|
| მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი | სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი |
| ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი - 0731115 | 1. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი<br>2. სამუშაო ადგილზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი<br>3. სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთოდ გაადგილების კონტროლი |
| ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი - 0731116 | 1. უბედური შემთვევების სიმძიმის შეფასება<br>2. აუცილებელი ზომების გატარება უბედური შემთხვევების დროს |

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის  დირექტორის

2026 წლის 30 აპრილის

ბრძანებით N107

............................................................

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

| პროგრამის სახელწოდება: ტრანსპორტის უსაფრთხოების კონტროლი |
| --- |
| პროგრამის სახე:<br><br>■პროფესიული მომზადება<br><br>☐ პროფესიული გადამზადება |

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე:

☐ 2 ☐ 3 ■ 4 ☐ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 5

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 15

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მთავარი მიზანია უზრუნველყოს მსმენელთა აღჭურვა იმ თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომლებიც აუცილებელია ტრანსპორტის უსაფრთხოების ეფექტური კონტროლის, რისკების მართვისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისათვის სხვადასხვა სატრანსპორტო სექტორში. პროგრამა მიზნად ისახავს მსმენელებს გააცნოს ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი ნორმები და სტანდარტები, რათა მათ შეძლონ მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება. ასევე, მნიშვნელოვანი მიზანია უსაფრთხოების რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის უნარების განვითარება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ავარიებისა და ინციდენტების ალბათობას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი
2. სამუშაო ადგილზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი
3. სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთოდ გაადგილების კონტროლი
4. უბედური შემთვევების სიმძიმის შეფასება
5. აუცილებელი ზომების გატარება უბედური შემთხვევების დროს

| პროგრამის შემუშავების საფუძველი: |
| --- |
| „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“<br><br>**მოდული:**<br><br>1. ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი<br>2. ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი |
| **პროგრამის მოკლე აღწერა:** წარმოდგენილი მოკლევადიანი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 5 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 20 საათი, რაც ჯამში შეადგენს 100 საათს. სასწავლო პროცესში მსმენელები გაეცნობიან მოქმედ რეგულაციებსა და სტანდარტებს, უსაფრთხოების მონიტორინგისა და ინსპექტირების პროცესებს, ასევე ავარიებისა და ინციდენტების პრევენციის პრაქტიკულ მიდგომებს. პროგრამა ითვალისწინებს რეალურ სამუშაო გარემოსთან დაახლოებულ პრაქტიკულ დავალებებს, ქეისების განხილვასა და სიტუაციურ ანალიზს. კურსის დასრულების შემდეგ მსმენელები შეძლებენ ტრანსპორტის უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების დაცვას, პოტენციური რისკების იდენტიფიცირებასა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას, რაც მნიშვნელოვანია უსაფრთხო და ეფექტური სატრანსპორტო ოპერაციების უზრუნველსაყოფად.<br><br>პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს. |

## 2.პროგრამის შინაარსი

| სასწავლო კვირა | თემატიკა | თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები | კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა | სწავლების მეთოდი/ები | შეფასების მეთოდი/ები | სასწავლოგარემო |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | • სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილება;<br>• ტრანსპორტირების საფრთხეები სამუშაო ადგილებზე;<br>• უსაფრთო სამუშაო ადგილისა და ტრანსპორტის ოპერირების საკონტროლო ზომები. | 1 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 2 | • უსაფრთო სამუშაო ადგილისა და ტრანსპორტის ოპერირების საკონტროლო ზომები;<br>• ხალხის გადაადგილება;<br>• სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოვარდნის სპეციფიკური საფრთხეები;<br>• სატრანსპორტო საშუალებებიდან გადმოვარდნის სპეციფიკურ საფრთხეების კონტროლის მექანიზმები;<br>• სამუშაო ადგილებზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლის მექანიზმები;<br>• პარკირება. | 1,2 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 3 | • სამუშაო ადგილებზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლის მექანიზმები; | 2,3 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ მართვასთან დაკავშირებული ფაქტორები, რაც იწვევს საგზაო შემთხვევების ზრდას;<br>• გზის უსაფრთხოების მართვა;<br>• ფეხით მოსიარულეთა საფრთხეები;<br>• რისკების შეფასება;<br>• მართვასთან დაკავშირებული რისკების შემცირების კონტროლო ზომები;<br>• სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული საფრთხეები;<br>მართვასთან დაკავშირებული რისკების შემცირების ზომების დაგეგმვა. | | | | | |
| 4 | • ხმაურის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;<br>• ხმის გაზომვის მნიშვნელობა და ხმის გაზომვაში ხშირად გამოყენებული ტერმინები;<br>• დასაშვები და დაუშვებელი ხმაურის დონეები;<br>• ხმაურის შეფასება;<br>• ხმაურის კონტროლის ღონისძიებები; | 4 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |
| 5 | • ხმაურის დაცვის საშუალებების მიზანი, გამოყენება და შეზღუდვები;<br>• ჯანდაცვის ზედამხედველობის როლი;<br>• ხმაურის პოტენციური რისკის შემცველი სამუშაოები.<br>• სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების ეფექტი; | 4,5 | 20 | ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა | პრაქტიკული დავალება დაკვირვებით | A, C |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | • სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების შეფასების საჭიროება;<br>• სხეულზე ვიბრაციის ზემოქმედების შეზღუდვა და ღონისძიებები;<br>• ვიბრაციის ძირითადი კონტროლის მექანიზმები;<br>• ჯანმრთელობის მონიტორინგი და ზედამხედველობა. | | | | | |

### 3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ | |
|---|---|
| მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი | სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი |
| ტრანსპორტის უსაფრთხოება და რისკის კონტროლი - 0731115 | 1. სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი<br>2. სამუშაო ადგილზე ხალხის უსაფრთხოდ გადაადგილების კონტროლი<br>3. სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთოდ გაადგილების კონტროლი |
| ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი - 0731116 | 1. უბედური შემთვევების სიმძიმის შეფასება<br>2. აუცილებელი ზომების გატარება უბედური შემთხვევების დროს |